სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მეგი გოგიაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

განათლების მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო ორჯონიკიძე

პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

21-ე საუკუნის სკოლის გამოწვევაა უპასუხოს მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს, უნარებს, მოლოდინებსა და ინტერესებს, რომლებიც განუზომლად მრავალფეროვანია. სკოლის დანიშნულებაა მოსწავლეს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა ცოდნისმოყვარეობად უქციოს, იზრუნოს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მუდმივად ხდება ცვლილებები და ინერგება სიახლეები, საინტერესოა, რეალურად, მასწავლებლის მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, რამდენად არის ორიენტირებული სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და როგორ, ან რა ფორმით, იყენებს მასწავლებელი პროფესიული გადამზადების შედეგად მიღებულ ცოდნას პარაქტიკაში.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია საჯარო სკოლის მაგალითზე დადგინდეს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით რა სახის აქტივობები ხორციელდება და როგორ აისახება ეს მოსწავლეთა მოტივაციაზე.

საკვლევი საკითხების იდენტიფიცირების შემდეგ, განისაზღვრა მეთოდოლოგია, შედეგებიდან გამომდინარე კი შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება ადმინისტრაციას და სკოლის თანამშრომლებს საჭიროებისამებრ, უკეთესად წარმართონ მუშაობა სასწავლო გარემოში. ნაშრომი იკვლევს ხარისხის სამსახურის მნიშვნელობას სკოლაში, როგორც მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორი. კვლევა მოიცავს ინტერვიუს (ადმინისტრაციის წევრებთან); კითხვარს (მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წევრებთნ მოსწავლეებთან) და ფოკუს ჯგუფს (მშობლებთან).

Annotation

Megi Gogiashvili

The importance of quality service in increasing students motivation

The challenge of 21st century school is to answer the needs, abilities, skills, expectations and interests of its pupils, these challenges are dramatically diverse. The purpose of the school nowadays is the to push the natural curiosity of its pupils and turn it in knowledge, to take care of the quality of teaching and the diversity of the learning process, where the individual opportunities for students will be considered.

In the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia changes and introducing innovations constantly occurs. It's really interesting to observe how the activities carried by the teachers in the frame of the national curriculum are focused on learning - teaching quality improvement, how and in what form uses the teacher the knowledge she/or he acquired during professional qualification program in practice.

The aim of the following research is to determine what kind of activities are being carried out in the direction of quality assurance and how it is reflected on motivation of the pupils. The research is based on the example of four schools (Two private and two public).

After the identification of the research issues, the methodology has been identified and recommendations have been developed based on results, which will help the administration and school staff to work better in the learning environment. The study examines the importance of quality service in school as a supportive factor for motivation. The survey includes interviews with members of the administration; Questionaires with teachers, administration members, pupils and focus group with parents.

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სკოლაში ---------- 7

1.1. მოსწავლეებში მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები ---------- 7

1.2. სკოლის დოკუმენტები და მონაცემთა შეგროვება ---------- 12

თავი II. მონაცემთა ანალიზი საჯარო სკოლის მაგალითზე ---------- 15

2.1. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები საჯარო სკოლის მაგალითზე ---------- 15

2.2. მონაცემთა ანალიზი კერძო სკოლის მაგალითზე ---------- 30

2.3. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგები -------- 32

დასკვნა ---------- 49

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 51

შესავალი

მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესიაა, რომელიც გულისხმობს მუდმივ განვითარებას და წინსვლას. ადმინისტრაციის წევრებისგან და მასწავლებლებისგან მუდმივად უნდა კეთდებოდეს აქცენტი მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითრების ხელშეწყობაზე:

- ✓ სწავლის და ინოვაციების უნარ-ჩვევები
- ✓ საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ -ჩვევები
- ✓ სასიცოცხლო და კარიერული უნარ ჩვევები

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეს სამყარო დავანახოთ ისეთი, როგორიც ის რეალურად არის, ერთიანი და არაიზოლირებული. ცოდნა, რომელსაც მოსწავლე სკოლაში იღებს ღირებულია, დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბება, თანამშრომლობის, როგორც კრიტიკულად აუცილებელი უნარის განვითარება, და ამასთანავე მაღალი სააზროვნო უნარებზე მუშაობა, მოსწავლეს აუმაღლებს მოტივაციას და გაუადვილებს მიღებული ცოდნის ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში, რომელიც განათლების სისტემის საძირკველს წარმოადგენს[1].

კვლევის პროცესში გამოიკვეთა სამიზნე სკოლებში არსებული ზოგადი მდგომარეობა და შემდგომ დაიგეგმა აქტივობები, ანგარიშში განხილულია: პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, განსაზღვრულია კვლევის მიზანი, დასმულია საკვლევი კითხვები, რომელზეც პასუხი განსაზღვრავს კვლევის ეფექტურობას, განხილულია ლიტერატურა, რომლის გათვალისწინებით დაიგეგმა განსახორციელებელი აქტივობები, წარმოდგენილია მონაცემთა შეგროვების მეთოდები და განსაზღვრულია ამ საკითხის აქტუალურობას განაპირობებს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ, კერძოდ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა

[1] წყარო: www. mastsavlebeli.ge

განათლების ხარისხზე და რა ფორმით ხდება დირექციის მხრიდან ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. როგორ აისახება დირექტორების და მასწავლებლების პროფესიული გადამზადება მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და მოტივაციაზე, იყენებს თუ არა მასწავლებელი პროფესიული განვითარების შედეგად შეძენილ ცოდნას საგაკვეთილო ფორმატში და არის თუ არა, რელევანტური თითოეული აქტივობა მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომელიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლს სკოლაში, ნაშრომში განსაზღრულია დირექციის, მასწავლებლის და ზოგადად სასკოლო კულტურის როლი, როგორც მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორი.

კვლევის მიზანია სკოლაში დადგინდეს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით რა სახის აქტივობები ხორციელდება და როგორ აისახება ეს მოსწავლეთა მოტივაციაზე. არსებული მდგომარეობის ანალიზის მიხედვით კი - დაიგეგმა და განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები, რომლებიც შეძლებისდაგვარად დაეხმარება ადმინისტრაციას და სკოლის თანამშრომლებს უკეთესად წარმართონ ხარისხის მექანიზმების მუშაობა სასკოლო გარემოში.

კვლევის მეთოდოლოგია ლიტერატურის განხილვიდან და საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე გამოიკვეთა მთავარი მიმართულებები, რის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო კვლევა. კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შესაგროვებლად გამოვიყენეთ შერეული მეთოდები, რაც გულისხმობს რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინირებას, კითხვარი-ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლისთვის და მოსწავლეებისთვის (კითხვარში გამოყენებული იქნა როგორც ღია კითხვის ტიპი ასევე დახურული) ფოკუსჯგუფი მშობლებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუ ადმინისტრაციის წევრებთნ.

თემის შინაარსიდან გამომდინარე გამოიკვეთა საკვლევი კითხვები, რომელზეც პასუხი განსაზღვრავს კვლევის ეფექტურობას:

- როგორ მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სკოლაში;
- როგორ ეხმარება ადმინისტრაცია მასწავლებლებს პროფესიულ განვითრებაში;
- როგორ და რა ფორმით იყენებს მასწავლებელი პროფესიული გადამზადების შედეგად მიღებულ ცოდნას საკლასო გარემოში;
- არის თუ არა მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობა მორგებული მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე;
- როგორია მოსწავლეთა მოტივაცია სასწავლო პროცესში (მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები);
- უზიარებენ თუ არა მასწავლებლები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას.

მეთოდების გამოყენების მიზნობრიობა, შესწავლილი და გაანალიზებულია სკოლის დოკუმენტები, მონაცემთა ანალიზის საფუძველზე კი შეთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტი განხორციელდა დამოუკიდებლად, უშუალოდ ხელმძღვანლის მეთვალყურეობის ქვეშ, სადაც დაცულია სამეცნიერო ეთიკის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის სანდოობის პრინციპები. ნაშრომში პრობლემური საკითხი დამუშავებულია მეცნიერული მეთოდებით, ხოლო შედეგები წარმოდგენილია დამაჯერებელი არგუმენტებით.

თავი I. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სკოლაში

1.1. მოსწავლეებში მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები

ხარისხს თავისთავად აქვს ორი განზომილება - "ხარისხი, რომელიც უნდა არსებობდეს" და "ხარისხი, რომელიც მიმზიდველია".[2] პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სტანდარების დაკმაყოფილება, ხოლო მეორე შემთხვევაში - მომხმარებელთა სავარაუდო, გაუცნობიერებელი სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ხარისხი ნებისმიერ სფეროში მოიაზრებს სამ ძირითად პირობას:

- ✓ პიროვნებისათვის ღირებული;
- ✓ მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ✓ შესაბამისობა სტანდარტებთან.

დროსთან ერთად იცვლება ადამიანის მოთხოვნები და საჭიროებები, ხოლო განათლების მიზანია განუვითაროს თითოეულ პიროვნებას გლობალურ სივრცეში თვითრეალიზაციის უნარი, გახადოს პროდუქტიული და დამოუკიდებელი. მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მოსახლეობის განათლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფა მდგომარეობს შემდეგში:

- ✓ **სკოლის მენეჯმენტი,** როგორც შუა რგოლი ადმინისტრაციასა და პერსონალს შორის;
- ✓ **სკოლის ინსპექტირება,** რომლის მიზანია შექმნას თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებული სასწავლო გარემო, უზრუნველყოს ხარისხის მუდმივი მონიტორინგი;

[2] თ. ბრეგვაძე; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, (2009). თბილისი.

- ✓ **უზრუნველყოფისა და შეფასების ჯგუფი ან ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი[3].**

ხშირად საუბრობენ განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარებაზე, რასაც აკავშირებენ ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომებთნ. სასკოლო კულტურაში, სადაც მოიაზრება დირექცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი და გარემო, პირველ რიგში აქცენტი უნდა კეთდებოდეს მოსწავლეზე, ეს არის ერთიანი სისტემა, რომელიც მთლიანობაში ქმნის ერთობლიობას ხარისხიანი განათლებისთვის.[4]

სასკოლო კულტურაში ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ინდიკატორად ითვლება მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობა. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და კრიტიკოსი რონალ ბარტი ამბობდა: ***,,საინტერესოა, რამდენი ბავშვის ცხოვრებას გავხდით წარმატებულს, თუ მასწავლებლები ერთმანეთს გავუზიარებდით იმას, რაც ვიცით".***

სკოლაში უნდა შეიქმნას ქმედითი გარემო, სადაც მასწავლებლები, როგორც პროფესიონალთა გუნდი, მუდმივი თანამშრომლობით ცდილობენ გააუმჯობესონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა, უკეთესობისკენ შეცვალონ მათი ყოველდღიური საქმიანობა, საკუთარი მუშაობის პროცესზე დაკვირვებით, თვითრეფლექსითა და, რაც მთავარია „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის რეალური ამოქმედებით შექმნან სკოლა, სადაც თითოეულ მასწავლებელს შეეძლება გაიზარდოს პროფესიულად და ამით საკუთარი გადამწყვეტი როლი შეიტანოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაში და ზოგადად, სკოლის წარმატებაში.

განათლების სისტემის საფუძვლიანი გადახალისება და რეკონსტრუირება ბევრმა ქვეყანამ (ამერიკა, ინგლისი, ახალი ზელანდია, იაპონია...) წარმატებით შეძლო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების ხარისხზე ზრუნვა. მოსწავლეზე ორიენტირებულმა სწავლების მიდგომამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა სასკოლო ცხოვრებაში, გაჩნდა საჭიროება შექმნილიყო ყველა ინდივიდზე მორგებული კურიკულუმი, გათვალისწინებულიყო ინდივიდის შესაძლებლობები და, რაც მთავარია, ცხოვრებასთან

[3] www.mastsavlebeli.ge

[4] ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, www.eqe.ge

მიმართებაში შექმნილიყო ახალი, ავთენტური, რელევანტური სასწავლო პროგრამა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და დანერგვა განათლების სფეროში წარმატების გარანტი გახდა ბევრ ქვეყანაში[5].

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შემდეგნაირად გულისხმობს:

- სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სასკოლო მექანიზმების შემუშავებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას, მუდმივ გადახალისებასა და დახვეწას;
- სწავლა-სწავლების სისტემატური მონიტორინგს;
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას;
- თანამედროვე მეთოდების იმპლემენტაციას სასწავლო პროცესში;
- ინოვაციური მეთოდების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში;
- მასწავლებელთა წახალისებას;
- მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი შეფასებას;
- სწავლის შინაარსობრივად გამდიდრებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას;
- პერსონალის გუნდური მუშაობის ზედამხედველობას;
- პერსონალის შერჩევაში მონაწილეობას;
- შეფასების სისტემის გადასინჯვა და გადახალისებას;
- თანამშრომელთა საჩივრების განხილვასა და რეაგირებას;
- ახალი სასწავლო გეგმის ან სტრატეგიის შესახებ პერსონალის ინფორმირებას;

[5] თ. ბრეგვაძე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, (2009). თბილისი.

- სკოლის განვითარების მიზნით საზოგადოებასთან ურთიერთობას;
- საგანმანათლებლო პროგრამის სისტემური მიმოხილვას, სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით[6].

ბოლო წლებში საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ მოსწავლეებში მოტივაციის ხელშემწყობ ფაქტორებზე და რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების - კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების სწავლებაზე , რომლებიც პირდაპირპროპორციულია სწავლების ხარისხზე.

მასწავლებლის მიზანია დაგეგმოს გაკვეთილი, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები, მიღებული ცოდნა და გამოცდილება. გაკვეთილი უნდა იყოს მოქნილი და დაგეგმილი ისე, რომ მოსწავლეებმა თავად ააგონ ცოდნა, იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგანთშორისი კავშირი, შესძლონ ანალიზი, ინფორმაციის გაერთიანება და დასკვნების გამოტანა. აღნიშნული მიდგომა ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას, მოტივირებულ მოსწავლეს კი უფრო მეტად უვითარდება ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარები.

მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი უნდა იყოს ხარისხიანი, რისთვისაც საჭიროა მასწავლებელმა:

- ✓ განსაზღვროს და გააცნოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიზნები და შედეგები;
- ✓ დაანახოს მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების ღირებულება (მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, თუ რატომ არის საჭირო ამა თუ იმ თემის შესწავლა. რა შეიძლება ამის უცოდინრობამ მოუტანოს;
- ✓ ყურადღება უნდა გამახვილდეს რთულ, პრობლემურ საკითხებზე;
- ✓ დაეხმაროს მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში;
- ✓ გააცანოს მოსწავლეებს თემის მიღმა არსებული ლოგიკა;

[6] K. Kivinen; The European Schools' Inspection System From Inspection to Quality Assurance. (2014)Malta, www.kivinen.files.wordpress.com

- ✓ ასწავლოს მოსწავლეს სწავლა (განუვითაროს მეტაკოგნიტური უნარები).

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად დაგეგმილ, განხორციელებულ და შემოწმებულ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასკოლო ცხოვრებაში, სადაც დირექცია, მასწავლებელი და მშობელი ერთ მთლიანობაში აღიქმნებიან და ქმნიან ერთ სისტემურ ჯაჭვურ ბმას, რომელიც არის მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორი. დირექციის მხრიდან სისტემური ზრუნვა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ხოლო, თავის მხრივ, მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესში სწავლების მრავალმხრივი და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა არის იმის წინაპირობა, რომ მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

განათლება, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს, უნდა იყოს დროის გამოწვევების შესაბამისი. ეს კი გულისხმობს მოსწავლეების იმ უნარებით აღჭურვას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მათ შეძლონ და იყვნენ აქტიურები, მოტივირებულები, წარმატებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

ჩვენი ამოცანაა დავადგინოთ კონტკრეტულ სკოლებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რა ტიპის აქტივობები ხორციელდება, როგორ, რა მეთოდებით ახერხებს ადმინისტრაცია მასწავლებლების, მოსწავლის და სასწავლო პროცესის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დადგენა და მონიტორინგი სკოლის ადმინისტრაციის მთავარი გამოწვევაა. კვლევის ფარგლებში, ორი კონკრეტული სკოლის მაგალითზე შესწავლილ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრატეგიული ხედვა და მუშაობის მექანიზმები.

1.2. სკოლის დოკუმენტები და მონაცემთა შეგროვება

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა ერთი საჯარო და ერთი კერძო სკოლა. სამაგისტრო ნაშრომში არ არის დასახელებული ის კონკრეტული სკოლები, სადაც განხორციელდა კვლევა. საწყის ეტაპზე მოხდა სკოლების ზოგადი პროფილის შესწავლა და შემდგომ, მხარეთა შეთანხმებით, ინფორმაციის მიღება საკვლევი თემის ირგვლივ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საკვლევი თემის ფარგლებში სკოლების შერჩევის დროს, გამოიკვეთა დამოკიდებულების პრობლემა, კერძოდ, სამიზნე სკოლის ერთი მაგალითი, რომელიც თავის დროზე დაგვპირდა კვლევის ჩატარებაზე, რატომღაც ბოლოს, თავი შეიკავა და განაცხადა, რომ აღნიშნული თემის ფარგლებში, მისი სკოლა ვერ გაგვიწევდა სათანადო დახმარებას. საჯარო სკოლის მაგალითზე განხილულ იქნა სკოლის სტრატეგიული განვითრების გეგმა, რომელიც მოიცავს 2015-2021 სასწავლო წლებს.

სკოლის გრძელვადიანი (2015-2021 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. სტრატეგილი გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების, კონკურენტებისა და SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია 2015-2021 წლების სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის სტრატეგია, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა საკომუნიკაციო არხი შესაბამისი სეგმენტის მიხედვით. აგრეთვე, განხილულია მარკეტინგული და პიარ ინსტუმენტების გამოყენების რელევანტურობა და მიზნობრიობა.

სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს უწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

დირექციის გამოკითხვა

მიზანი - სკოლის ადმინისტრაციის მიერ გადმოცემული დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი იქნა კითხვარი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, რათა დადგენილიყო ყველა ის ხელშემწყობი ფაქტორი, რითაც განისაზღვრებოდა ხარისხის მექანიზმების მუშაობა სასკოლო კულტურაში.

მასწავლებლების გამოკითხვა

მიზანი - დადგენილიყო ყველა ის ხელშემწყობი ფაქტორი, რითაც მასწავლებელი ახდენს მოსწავლეების მოტივირებულ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობები და ცოდნას, რომელსაც იღებს ის სატრენინგო, თუ საკონფერენციო მოხსენებებიდან, როგორ და რა ფორმით ნერგავს საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეების გამოკითხვა

მიზანი - მოსწავლეების თვალით დანახული საგაკვეთილო პროცესი, მათი მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები, სურვილები და დამოკიდებულებები სასწავლო პროცესის მიმართ - რას და როგორ აკეთებენ მასწავლებლები, მოსწავლეების აზრით.

სიღრმისეული ინტერვიუ სკოლის დირექტორთან /ადმინისტრაციის წევრებთან

კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩაუტარდა სკოლის დირექტორებს/ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ინტერვიუს მიზანი იყო დაგვედგინა მათი სტრატეგიული ხედვა და დამოკიდებულება ხარისხიან განათლებაზე, მათი სკოლის

მაგალითზე, რას და როგორ აკეთებენ ხარისხის გაუმჯობესებისთვის, პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია მოვალეობები.

ფოკუსჯგუფი მშობლებთან

მიზანი - დაგვედგინა რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი შვილების სწავლის პროცესში, აგრეთვე გარკვეულიყო, რას ნიშნავდა მათთვის ხარისხიანი განათლება და რა მოლოდინები ქონდათ სკოლის, მასწავლებლების და საკუთრი შვილების მიმართ.

თავი II. მონაცემთა ანალიზი საჯარო სკოლის მაგალითზე

2.1. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები საჯარო სკოლის მაგალითზე

კვლევის ფარგლებში, საჯარო სკოლის მაგალითზე გამოიკითხა 15 მასწავლებელი, კითხვაზე პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით რა სახის ხელშეწყობას აღნიშნავდით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან, მასწავლებელთა პასუხები ამგვარად გადანაწილდა:



მასწავლებლებმა ერთხმად დააფიქსირეს, რომ ხარისხის მართვის ჯგუფისგან ისინი იღებენ მუდმივ და დროულ რეკომენდაციებს, ამისათვის არ ჭირდებათ კონკრეტული პერიოდი.

დაასახელეთ თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობა/აქტივობები, რომლებიც პირდაპირპროპორციულია ხარისხის გაუმჯობესებასთან, მასწავლებლების პასუხი ასე გადანაწილდა:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მასწავლებლების პასუხი მრავალფეროვანია, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ისინი ესწრებიან ტრენინგებს, სკოლის ბაზაზე თავად მასწავლებლები არიან სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორები, საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მიდგომებს, ყოველ სემესტრში უწევთ ფორმალური, ან სამოდელო გაკვეთილების ჩატარება, სკოლაში დანერგილია და მასწავლებლები აქტიურად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“, ხარისხის გაუმჯობესების ერთ ერთ მნიშნელოვან წინაპირობად მიაჩნიათ გაკვეთილზე დაკვირვება, უკუკავშირი და მასწავლებლის რეფლექსია, რა დროსაც აქცენტი კეთდება ძლიერ და სუსტ მხარეებზე,

მასწავლებლების მცირე ნაწილი აღნიშნავს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ მასწავლებლები ერთხმად პასუხობენ, რომ იყენებენ საკმაოდ ხშირად.

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ეფექტურად აფასებს ადმინისტრაციასთან ურთიერთთანამშრომლობას .

პედაგოგების პროფესიული საჭიროება ამჟამინდელი მდგომარეობით ასე გამოიყურება:



გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და ტექნოლოგიური რესურსის ხელმისაწვდომობას საგაკვეთილო პროცესში. ტრენინგის გავლას საჭიროებენ შეფასების ეფექტურ სტრატეგიებზე, გამოკითხულთა მცირე ნაწილმა,

პროფესიულ საჭიროებად მიიჩნია თანამედროვე საუკუნის მოთხოვნებთნ რელევანტური აქტივობების ფლობა.

გამოკითხული მასწავლებლები ერთხმად დადებითად აფასებენ სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას - *„ძალიან კარგი“, „ ეფექტური და დროული”.*

ეფექტური სტრატეგიებიდან გამომდინარე, რომლებიც უპირობოდ უზრუნველყოფს მოსწავლეების მოტივაციას და აკადემიურ მოსწრებას საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები გამოყოფენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ჯგუფში მუშაობას როლურ თამაშებს და სხვა.

მასწავლებლები დადებითად აფასებენ ადმინისტრაციის მხრიდან რესურსებით უზრუნველყოფას, თუმცა აღნიშნავენ, რომ მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილებისთვის ასევე მრავალფეროვანი რესურსი სჭირდებათ:

„დადებითად ვაფასებ, თუმცა უფრო მრავალფეროვანი რომ იყო უკეთესი იქნებოდა“, „კარგი იქნებოდა მეტი ტექნოლოგიური რესურსები, მაგ: კომპიუტერი ყველა კლასისთვის“

აღნიშნავენ მასწავლებლები.

სკოლის ბაზაზე შექმნილი სასწავლო გარემო გამოკითხული მასწავლებლების უმეტესობას აკმაყოფილებს და მოსწონთ, თუმცაღა გამოთქვეს სურვილები სკოლის ინფრაქტრუქტურის განვითარებაზე და სასწავლო გრაფიკის შეცვლაზე:

„უკეთესი იქნებოდა სკოლა ყოფილიყო ერთ ცვლაში, კლასების დამატების ხარჯზე“,

„კარგი იქნება, თუ თითოეულ კლასში იქნება კომპიუტერი შეუფერხებელი ინტერნეტ წვდომით“,

„ვისურვებდი ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულიყო და ყოფილიყო მეტი გამწვანება სკოლის ეზოში“.

კითხვარი ადმინისტრაციისთვის

კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წევრები, გამოიკითხა ორი ადმინისტრაციის წევრი, რომელთგან ერთი დირექტორია, ხოლო მეორე მისი მოადგილე, კითხვაზე პასუხი, თუ რა არის სკოლის ძლიერი მხარე მათი პასუხები ასე გამოიყურება:



ადმინისტრაციის წევრების აზრით სკოლის წარმატების ხელშემწყობი ფაქტორებია:

- ✓ მუდმივი პროფესიული ზრდა;
- ✓ სურვილი ხარისხიანად აკეთო სწორი საქმე;
- ✓ თანმიმდევრულობა;
- ✓ სიახლეების ძიება.

პროფესიულ განვითარებასთნ დაკავშირებული ბოლო აქტივობები დიაგრამის სახით ასე გამოიყურება:



ადმინისტრაციის წევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სკოლის ყველაზე დიდი მიღწევა არის ხარისხის სისტემის გაძლიერება, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის მოადგილეა, რომელიც სემესტრში ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესზე. აღნიშნული მონიტორინგის მიზანია გამოკვეთოს სწავლა სწავლების სირთულეები და ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე მისცეს დროული უკუკავშირი

„მონიტორინგის დროს აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, თუ რამდენად არის ჩართული ის სასწავლო პროცესში“.

ადმინისტრაციის წევრები აღნიშნავენ, რომ მათ სკოლაში მასწავლებლების 75 % აკმაყოფილებს სკოლაში დადგენილ ხარისხის სტანდარტებს

„ეს თავად მასწავლებლების სურვილია იყვნენ მუდამ სიახლის ძიებაში შემეცნებისა და გაგების პროცესში“

ხოლო, კითხვაზე, თუ მოსწავლეთა რამდენი პროცენტია მოტივირებული საგაკვეთილი პროცესში, უპასუხეს 80-90%

„მოსწავლეთა მოტივაციას განაპირობებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება საგაკვეთილო პროცესში“ - აღნიშნეს მათ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს შორის, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების მოტივაციაზე მათ გამოკვეთეს შემდეგი მიმართულებები:

- ✓ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება;
- ✓ განმავითრებელი შეფასების ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება;
- ✓ პროექტული სწავლების დანერგვა.

კითხვარის ფარგლებში მათ დაასახელეს სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში, ესენია:

- ✓ “კვირის გეგმა”
- ✓ “პროექტული სწავლება”
- ✓ „სეგმენტური აქტივობა“
- ✓ „ინტერვიუ სამი ნაბიჯი“
- ✓ „აზროვნების სამი სკამი“
- ✓ „სასწავლო გაჩერებები“
- ✓ „მორფოლოგიური მატრიცა“
- ✓ „გონებრივი იერიში“
- ✓ „შემთხვევის ანალიზი”

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობას ორივე გამოკითხული აფასებს ეფექტიანად, ცალკეული შემთხვევების გარდა.

მთავარი მექანიზმი, რომელიც უპირობოდ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას გამოკითხულები ერთხმად პასუხობენ, რომ აქ მთავარი არის დამოკიდებულება საკუთარ საქმეზე, სწორი დამოკიდებულება ნებისმიერი განსახორცელებელი საქმის მიმართ ქმნის იმ საჭიროებების ერთობლიობას, რომელიც მთავარია სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ეს ეხება საგაკვეთილო პროცესის წარმართვას სადაც გათვალისწინებულია სამივე ეტაპი წინა საგაკვეთილო ინტერვიუ, გაკვეთილის პროცესში დაკვირვება, გაკვეთილის შემდგომი უკუკავშირი და ბოლოს მასწავლებლის რეფლექსია.

კითხვაზე თუ, როდის მოხდა ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა/გადახალისება სკოლაში მათ აღნიშნეს, რომ ეს პროცესი არის ყოველწლიური, გადახალისება ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საჭიროებიდან გამომდინარე. *„მაგ: 2017-2018 სასწავლო წელს დაემატა მასწავლებლის შემაჯამებელი შეფასება, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, მოსწავლეთა და მშობელთა ფოკუსჯგუფს და სხვა ანალიზსა, თუ რეკომენდაციას“*.

მატერიალური უზრუნველყოფის შემთხვევაში რა იქნებოდა მოთხოვნები/სურვილები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მათ აღნიშნეს შემდეგი:

- ✓ უცხოურ ენებში კლასების დაყოფა მზაობის მიხედვით (V-XII კლასების ჩათვლით);
- ✓ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ყველა საკლასო ოთახის კომპიუტერებით და პროექტორებით აღჭურვა;
- ✓ სასწავლო ვიზიტები უცხოეთის ქვეყნებში;
- ✓ სასწავლო ლაბორატორიები შესაბამის საგნებში;
- ✓ მეთოდური კაბინეტების მოწყობა შესაბამისი რესურსით;
- ✓ სპორტული დარბაზების აღჭურვა შესაბამისი რესურსით;

- ✓ სკოლის ბაზაზე ხელოვნების სახელოსნოები;
- ✓ კაბინეტები (მაგ: მუსიკის, ხელოვნების).

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები

საჯარო სკოლის მაგალითზე გამოიკითხა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, გამოკითხვაში მონაწილეობდა 35 მოსწავლე.

კითხვაზე, თუ რა არის მოსწავლეებისთვის სწავლის ხელშემწყობი ფაქტორები პასუხები ასე გამოიყურება:



მოსწავლეთა უმეტესობამ სწავლის ხელშემწყობი ფაქტორებიდან დაასახელეს მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილის ხარისხი, რა დროსაც მასწავლებელი ცდილობს თეორიული მასალის ვიზუალურად გაჯერებას, დიაგრამიდან ჩანს აგრეთვე ტექნოლოგიური რესურსის მნიშვნელოვნება, როგორც სწავლის ხელშემწყობი ფაქტორი, მოსწავლეები აგრეთვე საუბრობენ მასწავლებელთან ეფექტურ კომუნიკაციაზე და თანამშრომლობით უნარებზე.

ხუთ ბალიანი შეფასების სისტემიდან, მოსწავლეთა უმეტესობამ საკუთარი ინტერესი სწავლებისადმი შეაფასა სამ, ოთხ და ხუთ ბალად, პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდა:



კითხვაზე, თუ როგორ ეხმარება მასწავლებელი რთული საკითხების გაგებასა და გააზრებაში მოსწავლეთა უმრავლესობას ერთი პასუხი აქვს:

„იყენებს სქემებს და დიაგრამებს“;

„ხსნის გაკვეთილებს კარგად და შემდეგ გვისმევს კითხვებს, რაც გვეხმარება მასალის გააზრებაში“;

“იყენებს ცხრილებს დიაგრამებს და სხვა ვიზუალურ მასალას, თუმცა ეს უკვე ჩემთვის მომაბეზრებელია და ერთფეროვანია“;

„როდესაც რაღაცას ვერ ვიგებ მასწავლებელი ცდილობს თავიდან ამიხსნას, მაგალითად ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები ანიმაციების საშუალებით ცდილობენ აგვიხსნან გაკვეთილები“ - აღნიშნეს მოსწავლეებმა.

კითხვაზე, თუ როგორი მუშაობის ფორმას იყენებენ მოსწავლეები გაკვეთილზე პასუხები ასე გადანაწილდა:



გაკვეთილზე მუშაობის ტიპები ასე გადანაწილდა პროცენტული მაჩვენებლებით, სადაც უპირატესობა აქვს საერთო საკლასოს ტიპს, დამატებით მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ გაკვეთილზე მუშაობის ტიპს განაპირობებს საგნის მასწავლებელი, ასახსნელი მასალა და თავად საგანი:

„ გააჩნია რა უნდა აგვიხსნას მასწავლებელმა „

„ გააჩნია ვისი გაკვეთილი გვაქვს, მაგალითად ქიმიის გაკვეთილზე ძირითადად წყვილებში ვმუშაობთ, ფიზიკაზე ჯგუფურად „

მოსწავლეები სასწავლო მეთოდებიდან გამოყოფენ დისკუსიას, დებატებს, ჯგუფში მუშაობის მეთოდებს. სასწავლო საგნებიდან ყველაზე მეტად უადვილდებათ ქართული, ბიოლოგია, ისტორია და გეოგრაფია, სირთულედ მიაჩნიათ ფიზიკა, ქიმია და რიგ შემთხვევებში მათემატიკა.

კითხვაზე, აცნობთ თუ არა, მასწავლებელი თემის ირგვლივ დამატებით მასალას, მოსწავლეთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა.

რაც შეეხება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები იშვიათად იყენებენ გაკვეთილზე ვიდეო და აუდიო მასალებს:

„მხოლოდ მაშინ ვიყენებთ, როდესაც გაკვეთილზე გვესწრებიან “ - აღნიშნეს მოსწავლეებმა.

კითხვაზე მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას მოსწავლეები სახლში კიდევ კითხულობდნენ თუ არა, მოსწავლეებმა ასე უპასუხეს:

„მასწავლებელი გასაგებად ხსნის გაკვეთილს, მაგრამ სახლში გადაკითხვა მაინც მიწევს“;
„გააჩნია რა საგანია , თუ ფიზიკა და ქიმიაა, სახლში სამჯერაც ვკითხულობ გაკვეთილს“;

„გააჩნია რა საგანია, შეიძლება გადაკითხვა არც დამჭირდეს“;

„გააჩნია გაკვეთილს და ახსნის მეთოდს“;

„ნაკლებად ვეთანხმები, რადგან ზოგ საგანს მხოლოდ მასწავლებლის ახსნილით ვერ გაიგებ, თუ სახლში არ წავიკითხე“ - აღნიშნეს მოსწავლეებმა.

ფოკუს ჯგუფი მშობლებთან

დაიგეგმა შეხვედრა მშობლებთან, გეგმის მიხედვით წინასწარ იქნა გაფრთხილებული კლასის ხელმძღვანელი, რომელმაც უზრუნველყო მშობლების ინფორმირება. შეიქმნა ფოკუსჯგუფი, სადაც შეიკრიბა კლასის სხვადასხვა აკადემიური შესაძლებლობის რვა მოსწავლის მშობელი. შეხვედრის მიზანი იყო გაგვეგო, რამდენად იყვნენ მშობლები ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში და როგორი იყო მათი დამოკიდებულებს სასწავლო პროცესის მიმართ. გამოკითხული მშობლების უმეტესობა ამბობს, რომ ისინი ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, ვინაიდან მათ აქვთ რთული სამუშაო გრაფიკი:

„მაქვს სურვილი, მაგრამ ნაკლებად გამომდის, ჩემი სამსახურის გამო ამას ვერ ვახერხებ„

„ყოველ დღე მიწევს მუშაობა, ძირითდად კლასის დამრიგებლისგან ვიგებ სიახლეს „

გამოკითხული მშობლების უმეტესობამ განაცხადა, რომ მათთვის სწავლის ხარისხი იზომება *„კარგი მასწავლებლით“* მასწავლებელმა უნდა აუხსნას ისე, რომ შეძლოს მარტივად ათვისება მოსწავლემ.

„ეს მასწავლებლის მოვალეობაა, როგორ აუხსინის მასალას, რა ხარისხით მიაწოდებს ინფორმაციას“

„მთავარია როგორ გადასცემს ცოდნას და როგორ ჩართვს პროცესში მოსწავლეებს, ეს უნარია, რომელიც ყველა მასწავლებელს არ აქვს „ - განაცხადეს მშობლებმა.

„ჩემი ჩართულობით ბევრი არაფერი შეიცვლება“ - აღნიშნა ერთიერთი მოსწავლის მშობელმა.

ერთი მშობლისთვის სწავლის მაღალი ხარისხი იზომება სკოლაში სერთიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობით *„მასწავლებელი უნდა იყოს სერთიფიცირებული, რომ ცოდნა გადასცეს ჩემ შვილს ხარისხიანად* „ - განაცხადა მან.

კითხვაზე, თუ რამდენ დროს ანდომებენ მათი შვილები სახლში მეცადინეობას უმეტესობა თავს იკავებს პასუხის გაცემისგან, ვინაიდან ნაკლები ინფორმაცია აქვთ ამის შესახებ:

„ ვერ გეტყვით, მაგ დროს სამსახურში ვარ, გვიან ღამე კიდევ ვერ ვუმოწმებ დავალებებს“

„არა მაქვს სათანადო კომპეტენცია“

მხოლოდ ორმა მშობელმა განაცხადა, რომ მათ შვილებს გაცილებით მეტი შეუძლიათ, მაგრამ სიზარმაცის გამო ისინი გაკვეთილების მომზადებას ნაკლებ დროს უთმობენ, იშვიათად ატარებენ საშინაო ექსპერიმენტებს, ისიც არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მასწავლებლის დავალებით.

მშობლების აზრით, მოსწავლეთა მოტივაციას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ✓ მოსწავლის დამოკიდებულება ჯერ მასწავლებლის და მერე საგნის მიმართ;
- ✓ გასვლითი ღონისძიებები (გაკვეთილები ბუნებაში, ბოტანიკურ ბაღში, უმაღლესი სასწავლებლების კვლევით ლაბორატორიებში….);
- ✓ განმსაზღვრელი ქულა;
- ✓ შეფასების ობიექტურობა მასწავლებლის მხრიდან.

საჯარო სკოლის მონაცემებიდან ირკვევა, რომ როგორც მასწავლებელმა ასევე ადმინისტრაციის წევრებმა თეორიულად იციან რას ნიშნავს სკოლისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება, იციან აგრეთვე მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები, მაგრამ რას და როგორ აკეთებენ პრაქტიკაში და როგორ აისახება ეს მოსწავლეთა მოტივაციაზე ეს ცოტა გაუგებარია. მონაცემთა ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა უზუსტობები, კერძოდ, საერთო შინაარსის მქონე კითხვაზე სხვადასხვა

პასუხებია გაცემული, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებიდან ასევე მასწავლებლებიდან და მოსწავლეებიდან. მაგ: დირექციისა და გამოკითხული მასწავლებლების უმეტესობა ამბობს, რომ მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში არის მაქსიმალური, მაშინ როდესაც იგივე შინაარსის კითხვაზე მოსწავლეები მათ მოტივაციას და სასწავლო პროცესის მიმართ დამოკიდებულებას სამ და ოთხ ქულაზე აფასებენ, აგრეთვე კითხვარებიდან ირკვევა, რომ მასწავლებელი აქტიურად მოიხმარს ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში განსაკუთრებით ახალი მასალის ახსნის დროს, მოსწავლეები კი იგივე შინაარსის კითხვაზე პასუხობენ, რომ ტექნოლოგიურ რესურსს ძალიან იშვიათად იყენებს მასწავლებელი, მხოლოდ მაშინ როდესაც გაკვეთილზე ვინმე ესწრებათ

„მხოლოდ მაშინ ვიყენებთ, როდესაც გაკვეთილზე გვესწრებიან“

ამ და სხვა კითხვებზე პასუხები გვანახებს იმ ზოგად ფონს, რომელიც ერთი შეხედვით ფორმალურია, მაშინ როდესაც დირექცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სკოლის ყველაზე დიდ წარმატებად სწორედ ხარისხის სამსახურის გაძლიერებას მიიჩნევს.

2.2. მონაცემთა ანალიზი კერძო სკოლის მაგალითზე

გამოკითხვა ჩატარდა კერძო სკოლის ადმინისტრაციის წევრებისთვის, კითხვაზე თუ რა იყო მათი სკოლის სამი ძლიერი მხარე მათ აღნიშნეს, რომ სკოლა მდიდარია ადამიანური რესურსით; სკოლას ჰყავს კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც ცდილობენ სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას საგაკვეთილო პროცესში.

სკოლა მდიდარია აგრეთვე ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოთი (მოსწავლისთვის ადაპტირებული გარემო, ეზო და გამწვანება).

სკოლის წარმატებას განაპირობებს მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის და ადმინისტრაციის წევრებს შორის ეფექტური კომუნიკაცია, უკუკავშირი და თანამშრომლობა, აგრეთვე პედაგოგების მზაობა, იყვნენ მუდამ ახლის ძიებაში, იყვნენ შემოქმედები და იზრუნონ განავითარონ მაღალი სააზროვნო უნარები მოსწავლეებში.

კითხვაზე, თუ რა იყო პროფესიულ განვითრებასთან დაკავშირებული ბოლო აქტივობა მათ აღნიშნეს ტრენინგები, მასწავლბლების კონფერენცია, სამეცნიერო ნაშრომი თემაზე "მასწავლებლის რეაგირება მოსწავლის არანორმატულ ქცევაზე".

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სკოლის ყველაზე დიდ მიღწევად დასახელდა პროექტული სწავლება, ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა და სწავლა სწავლების მაღალი აკადემიური ხარისხი

"ჩვენი სკოლის დამოკიდებულება ხარისხთან მიმართებით იზომება აგრეთვე იმით, რომ სკოლას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები" - აღნიშნეს მათ.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით პასუხისმგებელი პირი ყოველდღე ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, ხოლო ანგარიშის წარდგენის ვალდებულება სკოლას ორჯერ აქვს განსაზღვრული.

სკოლაში მასწავლებელთა 80%-ის საქმიანობა აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს, რაც შეეხება მოსწავლეთა მოტივაციას და მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში აღნიშნეს რომ საერთო რაოდენობის 70-80% აქტიურად არის ჩართული, როგორც საგაკვეთილო ასევე სასკოლო კულტურაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც უპირობოდ უზრუნველყოფს მოსწავლეებში მოტივაციის ხელშეწყობას მათ დაასახელეს TARGET - მიდგომა, აგრეთვე პოზიტიური სასწავლო გაარემოს შექმნა და მისი შენარჩუნება.

სწავლების თანამედროვე მიდგომებიდან სკოლა აქტიურად იყენებს კონსტრუქტივისტულ მიდგომას, პრაქტიკულ სწავლებას. სწავლა კეთებით, სადაც აუცილებლად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური პროფილი.

ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხარისხის უზრნველყოფის ჯგუფის მუშაობას ერთხმად აფასებენ დადებითად

„მათ მიერ გაწეული შრომა და ზრუნვა იმაზე, რომ თითოეული მოსწავლისთვის იყოს ხარისხიანი სწავლება ხელმისაწვდომი, აბსოლუტურად ეფექტურია“

მატერიალური უზრუნველყოფის შემთხვევაში ადმინისტრაციის წევრების სურვილია სკოლას ჰქონდეს სააქტო დარბაზი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, ბუფეტი, თანამედროვე სტანდარტებს მორგებული ბიბლიოთეკის შენობა.

2.3. მასწავლებელთა, მოსწავლეთა და ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვა ჩატარდა მასწავლებლებთან, მასწავლებლების გამოკითხვის მიზანი იყო გარკვეულიყო მათი საქმიანობა სასწავლო პროცესში, რომელიც მიზანმიმართული იყო მოსწავლის მოტივაციაზე: რას და როგორ აკეთებდნენ ისინი სასწავლო პროცესში, როგორ ნერგავენ ტრენინგებიდან თუ სამუშაო შეხვედრებიდან მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესში.

კითხვაზე, თუ რა სახის ხელშეწყობას გამოყოფდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან მათი კარიერული წინსვლის მიზნით პასუხები ასე გამოიყურება:



მასწავლებლების უმრავლესობისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობა, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით, სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეყწობაში გამოიხატება, რა დროსაც ეფექტური კომუნიკაციის დახმარებით იღებენ საჭირო და დროულ უკუკავშირს მათ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. მასწავლებლები ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფისგან იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

კითხვაზე, თუ რა არის მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მათი პასუხები ასეთია:

„ახალი მასალის ახსნის დროს ვიყენებ ინტერნეტ რესურსებს“

„ინტერნეტ რესურსის გამოყენება, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებმა გრაფიკებთნ დაკავშირებით ინფორმაცია უფრო მარტივად გაიგეს და გაიაზრეს „

„ხშირად ვიყენებ პრეზენტაციებს და შემოქმედებით ღონისძიებებს „

გამოკითხული მასწავლებლების თითქმის ყველა მათგანი სკოლაში ხშირად იყენებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს:

„ვიყენებ ძალიან ხშირად, იმიტომ რომ გამოცდილების გაზიარებისთვის არის ძალიან კარგი საშუალება„

„ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, ამა თუ იმ საკითხის უკეთ მიწოდების გზებს ვაზუსტებთ„

„კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ ვიყენებ ძალიან ხშირად, რადგან სხვისი აზრის გათვალისწინება, ან ჩემი გამოცდილების სხვისთვის გაზიარება, სწავლა სწავლების აუცილებელი წინაპირობაა“

მასწავლებლები ადმინისტრაციასთან თნამშრომლობას ყველა ერთხმად დადებით ჭრილში განიხილავს *„ აბსოლიტურად ეფექტურია„*.

მასწავლებლების ამჟამინდელი პროფესიული საჭიროება არის სატრენინგო მოდულის გავლა ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით

„არის ძალიან ახალი, კარგი და საინტერესო პროგრამები, რომლებსაც ჯერ ვერ ვფლობთ“,

„ვისურვებდი მეტ პროფესიულ თავისუფლებას“

„უფრო მეტი თანამშრომლობითი დამოკიდებულებები სასკოლო კულტურაში“ - აღნიშნეს მასწავლებლებმა.

მასწავლებლები სწავლის ეფექტური სტრატეგიებიდან, თუ მიდგომებიდან გამოყოფენ შემდეგს:

- ✓ ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება;
- ✓ სწორი შეფასება;
- ✓ პრობლემებთნ გამკლავება/სირთულეების გადალახვა;
- ✓ პოზიტიური და ჯანმრთელი გარემო;
- ✓ ჯგუფური მუშაობა.

კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში პასუხები ასე გადანაწილდა:



გამოკითხული მასწავლებლების უმეტესობა წახალისების ფორმებიდან იყენებს *„შექებას“*.

სურვილი, თუ რას შეცვლიდნენ სკოლაში პასუხები ასე გამოიყურება:

„სასურველი იქნებოდა მოსწავლეთა თვითმმართველობის დაფუძნება“

„კარგი იქნებოდა მეტი სოციალური აქტივობები და სპორტული ღონისძიებები“

„ სახელმძღვანელოების ცვლილება“

„ვერაფერს ვიტყვი, მომწონს სკოლაში არსებული მდგომარეობა“

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები

ადმინისტრაციის წევრებისა და მასწავლებლების გარდა გამოკითვა ჩატარდა მოსწავლეებთნაც, კითხვარიდან გამოირკვა, რომ მოსწავლეებისთვის სწავლის ხელშემწყობი ფაქტორი თავად მასწავლებელია, რომელიც ცდილობს მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით ჩართოს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში. აქტიური და მოტივირებული მასწავლებლის გარდა მოსწავლეები აღნიშნავენ სასკოლო გარემოს, მოსწონთ მყუდრო და გამწვანებული გარემო, სწავლის ხელშემწყობი ფაქტორებიდან მოსწავლეები გამოყოფენ აგრეთვე გაკვეთილების მსვლელობის დროს მასწავლებლის მიერ გამოყენებულ ვიდეო და აუდიო მასალას

„მასწავლებლები ხშირად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც ჩვენ ძალიან მოგვწონს“ - აღნიშნეს მათ.

მოსწავლეთა უმეტესობამ (3 მოსწავლის გარდა) მათი სწავლისადმი ინტერესი ხუთ ბალიანი შეფასების სისტემიდან ხუთზე შეაფასეს.

რთული საკითხების გარკვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარებიან: იყენებს ვიზუალურ მასალას, იმეორებს რამოდენიმეჯერ და ცდილობს სქემების დახმარებით გაამარტივოს შესასწავლი თემა.

მოსწავლეებმა დაასახელეს ის სასწავლო აქტივობები, მეთოდები, რომელსაც საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ, ესენია:

- ✓ პრეზენტაციები;
- ✓ დისკუსია;
- ✓ ჯგუფური მუშაობა.

მოსწავლეთა უმეტესობას უადვილდება ისტორიის, ინგლისურის და ქართულის სწავლა, უჭირთ ტექნიკური საგნები

„ შედარებით რთულია ტექნიკური საგნები, ადვილია უცხო ენები“

„ტექნიკური საგნები წარმოადგენს სირთულეს“

„რთულად ვსწავლობ ფიზიკას, მიადვილდება ინგლისური და ქაართული"

მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში ძალიან ხშირად იყენებენ ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით კი ბიოლოგიის, ქიმიის და ხელოვნების გაკვეთილებზე

„ბიოლოგიაში, ქიმიაში და ხელოვნებაში ვიყენებთ უფრო ხშირად“

მოსწავლეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა იმდენად გასაგებია, რომ მათ სახლში იშვიათად უწევთ გადაკითხვა, სამი მოსწავლისთვის ეს გარემოება დაკავშირებული აღმოჩნდა საგანზე და მასწავლებელზე

„საგანს გააჩნია, მაგალითად ფიზიკას და ბიოლოგიას სახლში კიდევ ვკითხულობ“

„გააჩნია მასწავლებელს „ - აღნიშნეს მოსწავლეებმა.

ინტერვიუს ანალიზი

კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩაუტარდა კერძო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, ინტერვიუს მიზანი იყო გაგვერკვია ხარისხის უზრუნველყოფის მომართულებით სკოლა რა სახის აქტივობებს სთავაზობდა მასწავლებლებს და როგორ აისახებოდა მათი მუშაობა მოსწავლეთა მოტივაციაზე. გაირკვა, რომ სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სპეციალური კადრები არ ჰყავს, სკოლაში სწავლა სწავლების ხარისხზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია დირექტორის მოადგილეზე. სკოლისთვის ხარისხი იზომება წარმატებული და მოტივირებული მოსწავლით, რომელსაც აქვს უსაზღვრო შემოქმედებითი და კრეატიული უნარები.

„ჩვენი სკოლისთვის სწავლების ხარისხსს განსაზღვრავს მოსწავლე, რომელიც გამოირჩევა აკადემიური მოსწრებით და შემოქმედებითი უნარებით“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსწავლეები დამატებით არ ემზადებიან რეპეტიტორებთან. *„სამუდამოდ ამოვიღეთ რეპეტიტორების თემა“* მოსწავლეები გადიან ეროვნულ გამოცდებზე სკოლაში მიღებული ცოდნით და იღებენ მაღლ ქულებს.

ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით სკოლა მუდმივად ახორციელებს კონტროლს საგაკვეთილო პროცესზე *„შევდივართ გაკვეთილებზე მოულოდნელად, ვესწრებით და ვაძლევთ მასწავლებლებს დროულ უკუკავშირს“.*

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, ამისათვის სკოლაში დანერგილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს იყვნენ მუდამ აქტიურები და მოტივირებულები

„სასწავლო პროცესში ვიყენებთ პროექტებით, პორტფოლიოთი და კვირის გეგმებით სწავლებას, გვაქვს უამრავი სასწავლო მეთოდი დანერგილი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს იყოს მუდამ მოტივირებული“

ინტერვიუდან გაირკვა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის საზოგადოებასთან ურთიერთობაა

"მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში არის ძალიან მნიშვნელოვანი, ამისათვის ჩვენ ვიყენებთ ელექტრონულ ჟურნალს schoolbook -ს, სადაც ყველა საგნის მასწავლებელი უწერს შესასრულებელ დავალებს მშობლებს", გარდა ამისა, სკოლა ცდილობს სხვადასხვა აქტივობებით (სოც. პროექტები, ღონისძიებები...), ჩართოს მშობელი სასკოლო კულტურაში. საზოგადოებსთან ურთიერთობის გარდა სკოლის ძლიერი მხარე სასკოლო გარემოა

„გვაქვს მშვიდი, უსაფრთხო და გამწვანებული გარემო, რაც ძალიან მოწონთ მოსწავლეებს" - აღნიშნა ინტერვიუში.

ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგები

სკოლის ადმინისტრაციის მიერ გადმოცემული დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი იქნა კითხვარები ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მასწავლებლებისთვის. დირექტორთან ვიზიტების შემდეგ, გაირკვა, რომ ადმინისტრაციაში, დაახლოებით, ოთხი პერსონა მოიაზრება:

1. დირექტორი;
2. დირექტორის მოადგილე;
3. შეფასების ჯგუფის წარმომადგენელი;
4. საფეხურის ხელმძღვანელი.

მასწავლებელთა რაოდენობის დასადგენად სკოლისგან ვერანაირი დოკუმენტი ვერ მივიღეთ, აღსანიშნავია, რომ სკოლის ვებგვერდი საჭიროებდა განახლებას.

ერთი შეხედვითაც ირკვევა, რომ კითხვებზე გაცემული პასუხები ერთი შინაარსისაა. განსხვავებულია სიტყვათა წყობა. მაგ: სკოლის ძლიერი მხარეებია:

- *გუნდურობა;*
- *გუნდური მუშაობა;*
- *თანამშრომლობა;*
- *ურთიერთთანამშრომლობა.*

საგულისხმოა, რომ ადმინსტრაცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წინსვლად მიიჩნევს "*ეროვნულ გამოცდებში მიღებულ მაღალ შედეგებს და მოსწავლეთა მატებას";* ინტერვიუში კი, პირიქით აღინიშნა, ეროვნულ გამოცდებში მოსწავლეთა მიერ მიღებული შეფასებები არ არის მაღალი. პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ბოლო აქტივობა კითხვარში ტრენინგების გავლაა. კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.

აღსანიშნავია, რომ მეორე სემესტრის დასაწყისშიც არ ჰქონდათ შემაჯამებლების და სხვა ნაწერების ანალიზები წარმოდგენილი მასწავლებლებს, დირექტორის განცხადებით, პირველ თებერვლამდე ჰქონიათ ვადა პედაგოგებს საკუთარი ანგარიშების წარსადგენად. ლოგიკურია, რომ პირველი სემესტრის ანგარიში დაგვიანებულია, კითხვარში აღნიშნული სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელებაც შეუძლებელი იქნება მოსწავლეთა მიღწევების გაცნობის გარეშე.

სკოლის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ რომ მასწავლებელთა 80% აკმაყოფილებს სკოლაში დადგენილ ხარისხის სტანდარტებს. გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ასეთი მოცემულობა დამყარებულია ე. წ.

,,დიდი ხნის მეგობრობაზე"

,,არ მიღალატებენ, შევაბერდით ერთმანეთს" - განაცხადა დირექტორმა.

სკოლაში არსებული სწავლების თანამედროვე მეთოდები ასეთია:

- *მოსწავლეთა წახალისების სხვადასხვა მეთოდები*
- *ჭკვიანი დაფის აქტიური გამოყენება პრეზენტაციების დროს*
- *სხვადასხვა ტიპის პროექტები*

- *ურთიერთთანამშრომლობა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თანამშრომლების მიმართ*

მექანიზმი, რომელიც უპირობოდ უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კითხვარების მიხედვით ასე გამოიყურება:

- *ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება - ცოდნა გააზრება - გამოყენება და ანალიზი*
- *პრაქტიკის კვლევის გაუმჯობესება და შეფასება*
- *კოგნიტური თეორიის გამოყენება. მაღალი საარზოვნო უნარების მიღწევა*
- *მოსწავლეთა გათვალისწინებით აქტივობების დანერგვა-გამოყენება*
- *სხვისი გამოცდილების გათვალისწინება*

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა/გადახალისება სკოლაში მუდმივ პროცესს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მოსწავლეთა თავისებურებებიდან გამომდინარე, ძალიან ცვალებადია მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნილებებზე სასწავლო პროცესის მორგებაზე უნდა ფიქრობდეს შესაბამისი სამსახური.

სკოლის მოთხოვნებია:

- *საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში ჩართვა კერძო სკოლებისათვის;*
- *პროფესიული ტრენინგების ხელმისაწვდომობა კერძო სკოლებისათვის.*
- *საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში ჩართვა. ტრენინგების დაფინანსება.*
- *აქტიურობა , საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესება*
- *მეტი ჩართულობა....*

პასუხები თითქმის იდენტურია. კერძო სკოლის ინტერესს წარმოადგენს პროფესიული ზრდა და ხელშეწყობა, რაც მისასალმებელია.

ადმინისტრაციის მონაცემებით სკოლის წარმატების ხელშემწყობი ფაქტორები დიაგრამაზე ასე გადანაწილდა:



მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები



რამდენად ხშირად იღებენ ხარისხის მართვის ჯგუფიდან მასწავლებლები რეკომენდაციებს:

11 მასწავლებელი აღნიშნავს - *სემესტრში ორჯერ;*

2 მასწავლებელი - *სემესტრში სამჯერ;*

მასწავლებლები სასწავლო პროცესის ეფექტურობისთვის ძალიან ხშირად უნდა იღებდნენ რჩევებს ხარისხის მართვის ჯგუფიდან, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესი უნდა იყოს.

განხორციელებული აქტივობა ხარისხის გაუმჯობესებისთვის ასე გამოიყურება:

პროექტები:

- *„ცხოვრების ჯანსაღი წესი“*
- *„გარემოზე ზრუნვა“*
- *„ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედება ორგანიზმზე“*
- *„უახლესი ისტორიის შესწავლა X-XI კლასები“*
- *„საქართველოს ისტორია VII-IX კლასები; მუსიკა ჩემი ცხოვრების თანამგზავრია,*
- *გასვლითი გაკვეთილის გეგმა - სამუზეუმო სივრცის ათვისება და გაცნობა*

ტრენინგები:

- *სამუზეუმო ექსპონატების გაცნობა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება;*
- ოლიმპიადები;
- *ჯგუფური მუშაობა.*

გამოკითხულ მასწავლებელთა 77 % მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა აბსოლუტურად ეფექტურია, ხოლო 23% ეფექტურია, ცალკეული შემთხვევების გარდა.

მასწავლებლების ამჟამინდელი პროფესიული საჭიროება ასე გამოიყურება:

- *ტრენინგების ხელმისაწვდომობა;*
- *მონაწილეობის მიღება პროექტებში, რომელსაც მასწავლებლის სახლი ახორციელებს;*
- *ყველა პროექტი, რომელსაც ახორციელებს პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებელთა სახლი, კერძო სკოლის მასწავლებლებსაც შეგვეხოს;*
- *თანამშრომლობა;*
- *რჩევების გათვალისწინება.*

კითხვარის მიხედვით, მასწავლებელთა ამჟამინდელი პროფესიული საჭიროება ტრენინგთა ხელმისაწვდომობაა.

ყველაზე ეფექტური სწავლა-სწავლების სტრატეგია/ინსტრუმენტი:

- *ჯგუფური მუშაობა - 65%*
- *კონფერენციები - 10 %*
- *ინდივიდუალური მუშაობა -10%*
- *განწყობის თეორიაზე აწყობილი მიდგომა, 10 %*
- *პროექტები და პრეზენტაციები - 40 %*

სასწავლო რესურსის შესაბამისობა:

გამოკითხული მასწავლებლების 100% მიიჩნევს, რომ ადმინისტრაცია შესაბამისად უზრუნველყოფს მათ სასწავლო რესურსით.

სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში, სულ სხვა სტანდარტები და მოთხოვნილებებია და გაუგებარია, როცა მასწავლებელს აკმაყოფილებს გაუმართვი ინფრასტრუქტურის ყურება და არ აქვს პრეტენზია უსაფრთხო, სუფთა და კომფორტულ გარემოზე.

რას შეცვლიდით თქვენს სკოლაში? – ამ კითხვაზე პასუხს ასე პასუხობენ მასწავლებლები :

- *მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში - 40%*
- *მოსწავლეების წახალისების ეფექტური მექანიზმის შემუშავება და დანერგვა - 10%*
- *მე მომწონს ჩემი სკოლა - 10 %*
- *არაფერს - 30 %*
- *არსებული სიტუაციის შესანარჩუნებლად თავს არ დავზოგავდი - 10%*



დიაგრამა უჩვეულოა, როგორც ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ არ არსებობს ისეთი შეფუთულობა, რომელიც დროს გაუძლებს.

ინტერვიუს ანალიზი

ინტერვიუ ეხება მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობ ფაქტორებს, კონკრეტულად კი სწავლების მეთოდების ეფექტიანობის სასწავლო პროცესში.

სკოლის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ხარისხის შემოწმების ძირითადი ინდიკატორი არის მოსწავლის აკადემიური მოსწრება. ინტერვიუში არ არის გამოკვეთილი, რომელ მეთოდებს ანიჭებს სკოლა უპირატესობას, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ საჭიროებებებზე მორგებულ სწავლება, იმისთვის, რომ მოხდეს მიზნების სრული მიღწევა.

რაც შეეხება მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში, მოსწავლის შეფასებაში და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, ჩვენთვის ბუნდოვანია რა ფორმით არის ჩართული სასწავლო პროცესის შეფასებაში მშობელი. თუმცა სკოლის ადმინისტრაცია (დირექტორი) აღნისნავს, რომ მშობელთა გამოკითხვა არის ყველაზე ეფექტური სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობისთვის და საკმაოდ ეფექტურიც.

ადმინისტრაციისთვის მასწავლებელთა 80% მაღალკვალიფიციური და სკოლაში არსებულ სტანდარტებთან აბსოლუტურად შესაბამისია, რაც დადასტურდა კითხვარების განხილვისას. ამავე საკითხზე ინტერვიუში დირექტორი აცხადებს, რომ ასეთი მაღალი მაჩვენებლის მიზეზი ცალსახად ,,დიდი ხნის მეგობრობაა“, ,,არ მიღალატებს“ - ეს იყო არგუმენტი, რომელიც მოვისმინეთ დირექტორის მხრიდან.

რეკომენდაციები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს

- ✓ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ჩრთული უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე;

- ✓ სკოლამ უნდა უზრუნველყოს საგაკვეთილო პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით
- ✓ ავტორიზაციის მიღება არ გულისხმობს გარანტირებულ ხარისხს ექვსი წლის განმავლობაში, ამ პერიოდის განმავლობაში სკოლა უნდა განვითარდეს და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა იცვლებოდეს დროულად (შეფასების სისტემა, შემაჯამებელი, კათედრების მუშაობა...);
- ✓ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია დაინერგოს დროული შეფასება და უკუკავშირი ხარისხზე პასუხისმგებელი ყველა პირისგან.

სარეკომენდაციო სქემა ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის



რეკომენდაციები მასწავლებლებს

- ✓ მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა ინტერესთა სფეროს გათვალისწინება;
- ✓ თვითგანვითრებაზე ზრუნვა;
- ✓ გამოცდილების გაზიარება (საკუთრი და სხვათა);
- ✓ ერთობლივი საუბრები პრობლემურ საკითხებზე;
- ✓ ტექნოლოგიური რესურსები სისტემური გამოყენება;
- ✓ „კრიტიკული მეგობრის „აქტიური გამოყენება;
- ✓ განმავითრებელი კომენტარის აქტიური და ეფექტური გამოყენება;
- ✓ მოსწავლის მოტივაციის ხელშემწყობი აქტივობების დანერგვა;
- ✓ ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკების აქტიური გამოყენება;
- ✓ საერთშორისო გამოცდილების გაზიარება.

დასკვნა

საზოგადოდ ვჯერდებით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებობა მოსწავლეთა მოტივაციის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, ხარისხის მენეჯერი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, მისი როლი ძალიან დიდია მასწავლებლის მოტივაციის ამაღლებაში, პრობლემებსა და სხვადასხვა სირთულეზე საუბარი, მასწავლებელსა და მენეჯერს შორის მუდმივად უნდა იყოს დინამიური, რომ სასწავლო პროცესი უფრო ეფექტური გახდეს.

სამიზნე სკოლების მაგალითებიდან ირკვევა, რომ თეორიულად იციან და აქვთ წარმოდგენა იმ თანამედროვე მიდგომებზე თუ სტრატეგიებზე, რომლებიც ეფექტურია სასწავლო პროცესში, პრობლემა არის ის, რომ ისინი ნაკლებად ცდილობენ სიახლეების დანერგვას და გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში. ფაქტია რომ არსებული მონაცემები არაა რელევანტური თანამედროვე მოთხოვნილებებისა, გამოკითხული სკოლების მაგალითებიდანა ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ სკოლებს არათანაბარი შედეგები აქვთ, არიან სკოლები სადაც მასწავლებლები ცდილობენ უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს და იყვნენ განვითრების პროცესში, რომელიც პირდაპირპროპორციულია მოსწავლის მოტივაციაზე და მის გვერდით, ასევე არიან სკოლები, სადაც მასწავლებლები ნაკლებად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და ინდივიდუალურ მიდგომებს.

სამიზნე სკოლების განზოგადებული ანალიზი ასე გამოიყურება:

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ნაკლებადაა გამჭვირვალე;
- ✓ მასწავლებლებს ნაკლებად აქვთ ხელშეწყობა პროფესიული ზრდის და განვითარების. ფაქტია, რომ თანამშრომელთა მოთხოვნები იდენტურია-ტრენინგების ხელმისაწვდომობას აღნიშნავენ;
- ✓ რიგ შემთხვევებში სასკოლო გარემო ვერ უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო პროცესს;

- ✓ დემოკრატიული ფასეულობების დაცვის თვალსაზრისით, შეინიშნება დარღვევები, (მაგ. დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, კანონის უზენაესობის დაფასება, სასკოლო გარემოს მოწყობა/ცენტრალიზებული მმართველობა.... ;
- ✓ თანამშრომლობა ნაკლებად მოიაზრებს ხარისხის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას;
- ✓ დირექტორი ასრულებს იმაზე მეტ საქმეს, ვიდრე მას ევალება, რაც ბუნებრივია, ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს;
- ✓ მთლიანობაში სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა პასიურია.

გამოყენებული ლიტერატურა

1) განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
2) "ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა", www.eqe.ge;
3) თ. ბრეგვაძე; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი; თბილისი, (2009);
4) თ.კობახიძე; სწავლის შედეგების შიდა შეფასება „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა" (2016), mastsavlebeli.ge;
5) ს. ჯანაშია; ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში; თბილისი, (2009), www.files.ethz.ch;

6) K,Kivinen; *The European Schools' Inspection System From Inspection to Quality Assurance; Malta, 2014*, kivinen.files.wordpress.com;

7) Tool for quality assurance of education for democratic citizenship in schools; 2005, www.researchgate.net.